# საქართველო

წელიწადი მეექვსე | ხუთშაბათი, იანვრის 22 1920 წ. № 15 | ფასი 3 მან.



## კავკასიური დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოება

გამგეობა თბილისში, ოლღას ქუჩა, № 8. ტელეფონი № 11.

იღებს დასაზღვევად ცეცხლისგან შენობებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, საქონელს, მასალას და სხ. თბილისში, ბაქოსა, ბათუმში, ერევანში და ამ.-კავკ. სხ. ქალაქებში

**კავკასიის დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოება არის პირველი საზ-ება კავკასიაში,**

მისი გამგეობა იმყოფება ქ. თბილისში, მისი ყველა კაპიტალი მოთავსებულია თბილისის მთავარ ბანკებში, რაც შეძლებას იძლევა დამზღვევთაგან ზარალის დაუყოვნებლივ ანაზღაურებას.

თანახმად ხაზჭოს დადგენილებისა, საზოგადოება თავის ძირითად კაპიტალს ადიდებს 4 მილიონ მანეთამდე ახალ აქციების გამოცემით, რაც სხვა კაპიტალთან ერთად საქმეს უყრის მტკიცე საფუძველს.

განცხადება დაზღვევისთვის მიიღება:

**თბილისში**

1) საზოგადოების გამგეობაში (ოლღასკის ქ. № 8. ტელეფ. № 11)

2) თბილისის სავაჭრო ბანკის გამგეობაში.

**ბაქოში**

1) თბილისის სავაჭრო ბანკის ბაქოს განყოფილებაში ხ. ი. კარაპეტიანცთან,
2) კავკასიის ბანკის ბაქოს განყოფილებაში ა. გ. ბურსუკთან.

**ბათუმში**

1) სააგენტურო-საექსპედიციო და სავაჭრო საზოგადოების „არაქსის“,
2) გ. გ. ჩეხოვის და 3) დ. ი. პარაჩის სააგენტოებში და

**ერევანში**

თბილისის სავაჭრო ბანკის ერევნის განყოფილებაში ბანკის გამგე ა. დ. ხუდაბაშოვთან.

**ანონსი** ამ დღეებში ერთ-ერთ კინო-თეატრში პირველი კინო-დრამა, გადღებული თბილისში. დადგმა აქც. საზ-ბის კინო-ატელიე „ფ ი ლ მ ა“-ს მიერ.

**კინო პალასი** დიდებული დადგმა. საუცხოვო ანსამბლი:— ეკრანის ორი სიმშვენიერე

**ელენე ლეონიდოვისა**

(ცნობილი მარიამ მაგდალინელის სურათით)

**ევა დორინგტონ** მხატვრულ სალონის დრამაში

**ვნება და გამოცდა** 5 ნაწილად

ცეკვა „შიშველისა“

ე. ლეონიდოვის შესრულებით

მუსიკ. ილუსტრ. ნ ხუდიაკოვისა

**აპოლო** ახალი დიდი პროგრამა

**გულისა ყინის დამორჩილებით**

მხატვრული დრამა 3 მოქ.

ერნი მორენის შესრულებით

**სამი მამა და ერთი შვილი**

მხიარული კომედია 3 ნაწ.

კინო-თეატრი **ფილმა** ოლღას ქუჩა № 3. გაგრძელება გრანდიოზული დადგმისა

დღეს **ფილანტროპი და მეზღვაური სიმბადი**

ეპოქები 3 და 4 (6 ნაწ.)

**გრაფ-მონტე-კრისტო**

ა. დიუმას უკვდავ რომანით

ძმ. „პატეს“ ატელიეს გამოცემა.



## პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# საქართველო

1920 წ. (წელიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი - კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო“ და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წერეთელთან, სამეურნეო ბანკში ვ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძიგვილოვთან, შუა ბაზარში იოსებ გველესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე“-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ სპ. ბენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

### გაზეთის ფასი:

| ერთი წლით | ნახევარ წლით | სამი თვით |
|---|---|---|
| 1000 მან. | 600 მან. | 300 მან. |

მისამართი: თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.



სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა

## პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები

ალ. გ. საათაშვილისა

(წელიწადი მესამე)

პირობის გასაგებათ დილის 10—12 საათ, ნაშუადღევის 5—7 საათამდე. მისამართი: თბილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქუჩის ახლოს), ტრ. ვაგონი № № 5 და 9. (2735 1—1)



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

დღის 11 საათიდან 5-დე სადილი

უკრავს რუმინული ანგელესკოს ორკესტრი

ხალამოთი მეორე ახალი პროგრამა.

1) მსახიობნი საზოგადოებაში, 2) ორი პიერო, 3) მშვენიერი უცნობი ქალი, 4) ბატკნები ქალალდში, 5) პაშების ცეკვა, 6) დემოკრატიული ლუბაკი, 7) ბრამსის ცეკვა.

დასაწყისი ღამის 11 საათზე.

რეჟისორი ლეოგალი | კონფერანსიე ნეჩაევი



## „სტუდენტის დღის“ მომწყობ მთავარ კომისიისგან

### განცხადება

სახელმწიფო უნივერს. სტუდენტთა კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა სრულიად საქართველოში, ყოველ წლიურად იდღესასწაულოს იანვრის 26 უნივერსიტეტის გახსნის დღე.

პირველ ტრადიციულ დღესასწაულს ქართველი სტუდენტობა იხდის ა/წ. იანვრის 26-ს.

საგანგებო კომიტეტი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სტუდენტთა კავშირის გამგეობის და საზოგადო მოღვაწეთა საგანგებო სხდომის დადგენილების თანახმად იანვრის 26-ს ცხადდება

### „ქართველი სტუდენტის დღე“

ამ დღის მთავარი კომისიის დადგენილებით სრულიად საქართველოში იმართება სადღესასწაულო სალამოები ღარიბის სტუდენტთა სასარგებლოდ, ტფილისში ყველა უბნის თეატრებ კინემატოგრაფებში იმართება სადღესასწაულო წარმოდგენები, არტისტიულ საზოგადოების ყველა დარბაზებში კი გაიმართება დიდი ტრადიციული სტუდენტთა ეროვნიული სალამო ქ-ბ მარიამ რამიშვილის და ოლღა სვანიშვილის მონაწილეობით. ამავე დღეს გამოვა საგანგებო ჟურნალი „ქართველი სტუდენტი“ გაიმართება დიდი აქტი და სხვ. - მთავარი კომისია აცხადებს რა ყოველივე ამას სთხოვს უნივერსიტეტების მეგობართ და საზოგადოებას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ „სტუდენტის დღეში“ ღირსეულათ ჩატარებას. ამის გამო სტუდენტთა სასადილოში სისტემატ. იმართება საგანგ. სხდომები.

ყოველგვარი ცნობები, შემოწირულებანი, განცხადებანი, რჩევა და სხვ. მიიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 11—1 და საღამოს 5—7 სტუდენტთა სასადილოში (თავის. მოედანი) მთავარ კომისიის მდივან სტუდენტ დავით წერეთელთან. კომისიის მიერ საგანგებო სხდომა სტუდენტთა გამგეობისა და საზოგადო მოღვაწეთა დანიშნულია კვირას დილის 12 საათზე სასადილოში—ყველა პროვინციებს დაეგზავნა სათანადო მოწოდება და ინსტრუქციები. 2739—1—1

„სტუდენტის დღის“ მომწყობი მთავარი კომისია.



მედ. ცინის დოქტორი

**გ. ა. ახვერდოვი**

ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., სალამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1, 50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების

**გ. გ. მ[illegible]**

შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში.. [illegible] და [illegible]. პლევრის აპერაცია—პრევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.



## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს იანვრის 22-ს

მ. თარხან მოურავის ბენეფისი

**აბესალომ და ეთერი**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ.-მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

საექიმო კაბინეტი

**ექ. პ. ტუშმალაშვილისა**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებათა ავადმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1



მიხეილის **ალკრე** პლეხანოვის ქუჩა, 91.

მხოლოდ ორი დღით 21 და 22 იანვარს

## თეთრი ვარდი

მხატვრული დრამა 5 აქტათ პროლოგი და ეპილოგით

ცნობილ მსახიობების ბ-ნ **რუნიჩის** და ქ-ნ **ფეხნერის** მონაწილეობით

**ჩარდინინის** დადგმა

ყოველდღე სიმფონიური ორკესტრი. დასაწყისი საღ. 5 საათზე



## „მეოცნებე ნიამორები“

წიგნი მესამე.

შინაარსი:

გ. რობაქიძე—ვასაკა, ტ. ტაბიძე—ფატმან-ხათუნი, შ. ამირაჯიბი—მწვანე კაკალი, ვ. გაფრინდაშვილი—ზამთრის დაისის გასვენება, კ. ნადირაძე—ყალბი ავტობიოგრაფია, ნ. მიწიშვილი—სამგლოვიარო მარში, რ. გვეტაძე—სევდის ფარმანდი, შ. კარმელი—ბოდლერის ოფორტი, ს. ცირეკიძე—მოზაიკის ღვთისმშობელი, ს. კლდიაშვილი—[illegible] ბაზარში, დია ჩიანელი—სევდიანი ფრაგმენტი, ვ. გაფრინდაშვილი—შენიშვნები ლირიკაზე, ს. ცირეკიძე—სათაური პოეზიაში და ლ. გუდიაშვილი—ყდა (ნიამორები).

რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს:

ბოლშევიკებმა აიღეს ქ. მოგილევ-პოდოლსკი. სემიპალატინის სანახებში სასტიკი ბრძოლით მიუახლოვდნენ ქ. სერგიოპოლს. დანარჩენ ასპარეზებზე დაც წინ მიდიან.

ქ. ჰელსინგფორსში ბალტიის მხრის სახელმწიფოთა კონფერენცია გაიხსნა.

ოსმალეთის სამხედრო სასამართლომ ბეხადინ შაქირს, როგორც „ერთობა და პროგრესი“-ს კომიტეტის თავმჯდომარეს და ომის დროს ქლეტის დამნაშავეს, სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ხოლო რაზიმს 15 წლის კატორღა.

შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი მუსტავ ადორი უმაღლეს საბჭოსთან მოლაპარაკებას აწარმოებს შვეიცარიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

—

**წერილები:**

მეთაური—სოციალურ ორგანიზაციისკენ.

ვაჭრობა-მრეწველობა.

ქვრივი ანნა სვიმონის ასული პეტრიაშვილისა, შვილები: ელენე და ნინო, და სიძე ამბროსი ბახტაძე უღულითადეს მადლობას უძღვნიან მათ, ვინც პირადად ან წერილით და დეპეშით ანუგეშეს აუტანელ მწუხარებაში მყოფნი ძვირფასი

**ვასილ ივანეს ძის პეტრიაშვილის**

დაკარგვით. (2730 1—1)

მწუხარებისაგან გულმოკლულნი ნადო ვაჩნაძისა, შვილებით ვახტანგი, ნინა, ვიქტორ, კატუშა, ელისაბედ ვაჩნაძისა შვილებით მიხეილ, ილია, იოსებ, ანა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა მამა და უკანასკნელთა სიძე

**იეგორ (გიორგი) ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე**

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (უ.)

**ქართული კლუბი**

ხუთშაბათს 22 იანვარს

ქართული სამუსიკო საზოგადოების კაპელლა გამართავს

**კონცერტს**

ოპერა არაყიშვილისა

**„თქმულება შოთა რუსთაველიდან“**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 337 2—1

ბრიტანეთ-კავკას. სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა

**ბრიკატო**

ამით აცხადებს, რომ განაახლა რა თავისი მოქმედება იღებს ყოველგვარ სავაჭრო-სამრეწველო მინდობილობათ, როგორც ინგლისში, ისე ევროპისა და ამერიკის სხვა სახელმწიფოებში, სადაც ამ თვის ბოლოში მიემგზავრება ამხანაგობის ერთ-ერთი წევრთაგანი. ამხ-ბას აქვს საკუთარი საწყობი და საკომისიოდ იღებს ყოველნაირ საქონელს.

**ამხ-ბის გამგეობა** იმყოფება ბათუმში, დონდუკოვ-კორსაკოვის ქ. № 18.

**კონტორები** თბილისში, პირაგოვის ქ. № 6 ტელ. 22—05.

**ბაქოში** კრასნოვოდსკაი № 7. ტელ. 43—86

london, 5 Acasia Rood, st Johu's Woad №№ 8 stel. Nam. 65—34.

თბილისის კონტორა ღიაა ყოველდღიურად დღის 12—2 ს.

გამგეობის თავმჯდომარე **ა. ი. ბრუსბინი**

**კინემო მინიონი**

ბარიატინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

22, 23 და 24 ს იანვარს

**ლ. ნ. ტოლსტოის**

მოთხრობით

**40 წელი**

დრამატიული ლეგენდა

4 დიდ ნაწილად.

**ორლოვასა და გაიშევას**

მონაწილეობით.

დასასრულ × მხიარული

სანახაობითი × კომედია.

დასაწყისი სალ. 5 ს.

## სოციალურ ორგანიზაციისაკენ

ყოველ შეგნებულ ადამიანში გაკვირვებას უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ საქართველოს მართვა-გამგებლობა სოციალისტური იდეოლოგიის ხალხის ხელშია. ეს გაუგებარი რჩება, თუ მხედველობაში მივიღეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სახე. სოციალისტების ბატონობისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ობიექტიური საფუძველი არ მოიპოვება.

საქართველო უაღრესად წვრილი საკუთრებისა და მეურნეობის ქვეყანას და როგორც ესეთი, იგი სოციალიზმის იდეოლოგიის უკუმგდებია.

მეორეს მხრით, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი ხალხი მასსიურად გაექცა თავის ფაქტიურ მდგომარეობის ბრჭყალებს, მიასწყდა სინამდვილეს, მას სრული აბსტრაქცია უყო და იდეათა სამეფოში შეიხიზნა; რომ აქ იგი დარწმუნდა სოციალიზმის უპირატესობაში, თვითვე გასოციალისტდა და თავის წარმომადგენლობაც სოციალისტებს ჩააბარა. ასეთი სასწაული ჯერ არსად მომხდარა; იგი მით უფრო შეუძლებელია ისეთ ქვეყანაში, სადაც განათლება ჯერ კიდევ ემბრიონულ მდგომარეობაშია. ამგვარად, ვერც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური საფუძველი და ვერც ჩვენი ხალხის მიერ იდეათა შერჩევა—შეთვისების შემძლეობა ვერ ამართლებს სოციალისტების ბატონობის ფაქტს საქართველოში. ხოლო ვინაიდან ქვეყნის მართვა-გამგებლობის წონასწორობა გაბატონებული ეკონომიური ფორმის აგენტებისა და წარმომადგენლების ხერხემალზეა შესაძლებელი, ამიტომ ახ ჩვენი ეკონომიური და მასიანვე პოლიტიკური მდგომარეობა სკანდალით გათავდება, ან სოციალისტი მმართველები „გაგლეხდებიან“, ან ხალხი ნამდვილ თვის წარმომადგენელს მოსძებნის. ქვეყანა ამ მესამე გზას ირჩევს კიდევაც. ამ მოძებნის პროცესს დღეს ის გარემოება აადვილებს რომ წესწყობილება ფართო დემოკრატიული გვაქვს, რის გამოც პოლიტიკური და ეკონომიური მოტივები ერთმანეთისაგან გამიჯნულია.

ამგვარს პირობებში კი სადემაგოგიო მასალაც ნაკლები რჩება და პოლიტიკური ბრძოლის მოგებაც დამოკიდებულია უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ფორმის უპირატესობაზედ. ეს გზა ფატალურია, ვერავითარი რევოლუცია მას ვერ შეაყენებს და ჩვენი ქვეყანაც ნელნელა ამ გზაზე დგება. მაშ რა იყო მიზეზი, რომ ჩვენში ბატონობა სოციალიზმის იდეოლოგებმა ჩაიგდეს ხელში?—ამის მიზეზი იყო დემოკრატიზმის და სოციალიზმის ერთი ფირმის სახელით გასაღება, ჩვენი ხალხის განუვითარებლობა და ქალაქის დაქირავებულ მსახურთა მტკიცე ორგანიზაცია. პირველ ორ გარემოებას აქ არ შევეხებით. ჩვენ გვსურს მესამე საგანზე ვილაპარაკოთ, ორგანიზაციის ძალაზედ. წელებზე ფეხებიც რომ დაიდგან, სოციალიზმის „იდეოლოგები“ საქართველოში ევროპიული ტიპის პროლეტარებს ექვს ცალის მეტს ვერც იპოვიან. მათი ლაშქარი უმთავრესად ტრამვაის მუშებისა, ნოქრებისა და სხვადასხვა მსახურთაგან შესდგება, რომელნიც ახალ ღირებულებას კი არ ჰქმნიან, არამედ შექმნილს აძვირებენ. და ამ მოსარეცხეთა, მზარეულთა, ლაქიათა, ხელზე მოსამსახურეთა, ტრამვაის მუშათა და თითო-ოროლა თამბაქოს, საპნის და ტყავის ქარხნის მუშათა პროფესიონალური კავშირები ჰქმნიან სოციალიზმის სიმტკიცეს საქართველოში და სოციალისტების პოლიტიკურ ბატონობას. ამ დასახელებული ხალხის ნებისყოფა, მისი პოლიტიკური და მორალური კონცეპცია აძლევს მთელ შინაარსს საქართველოს ცხოვრებას. რიცხვით ერთი მუჭა და პროფესიით ქირაზე სხვისი გეგმისა და მოთხოვნილების მოსამსახურე, იგი სრულებით არ გამოსთქვამს ქართველი ხალხის სახეს ხოლო რიცხვით 95 პროც. ქართველობა და ხელობით ჩვენი ეკონომიური შენობისა და ურთიერთობის კალატოზი და საფუძველი მოკლებულია საშუალებას პოლიტიკური გავლენა მოახდინოს და საქართველოს პოლიტიკას და ეკონომიკას საფუძვლად საქართველოს ცოცხალი შინაარსი, მისი მომქმედი გრძნობა, მისი მორალი და ტრადიცია დაუდვას. სოფლის წვრილი მეურნე ნამდვილი ბურჟუა საქართველოს სახელმწიფოებრიობის; იგი ამ სახელმწიფოებრიობის ეკონომიური საფუძველია; იგი უფრო ხელუხლები დაფაქიზი ძალაა; იგი უფრო შეურყეველია მისი მორალური და ოჯახური კონცეპცია უფრო სალია და მკვიდრია; უფრო ინიციატივიანია საკუთარი მეურნეობის მოწყობა-განვითარებაში. და აი ეს ნამდვილი წყარო ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობისა, ეს უფრო მაღალი ზნეობა და უფრო შენახული ფიზიკა. ეს ნამდვილი დამოუკიდებელი მწარმოებელი არა სჩანს, პოლიტიკურად ნულია, არა-რა! მასზედ გაბატონებულია ყოველის მხრით მასზედ დაბალი, ქალაქის სიდუხჭირით შერყვნილი, არავითარი ღირებულების არ მქნელი, არავითარი წარმოების არ მწარმოებელი მუშა-მოსამსახურე! ვის აქვს მეტი უფლება პოლიტიკური ბატონობისა, თავის სახის გამოჩენისა; ვინ ანპიროვნებს საქართველოს, ვინ არის საქართველოს ეკონომიური საფუძველი, ვისი მორალი და კონცეპციაა საქართველოს სხეულში რეალურად ჩანივთებული?—სოფლის მეურნისა, წვრილი მესაკუთრის. ფაქტიურად კი მასზე ქალაქის მოსამსახურე ბატონობს. ამაშია სიყალბე და დაუდგომლობა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის. რაშია ამ მოვლენის საიდუმლო? ორგანიზაციისა და კავშირების შეკვრაში. მაშინ როდესაც ქალაქის მუშა-მოსამსახურენი შეკავშირებულნი არიან, წვრილი მეურნენი უკავშიროთ და უორგანიზაციოთ არიან გაბნეულნი. ამ ნაკლს, რომელიც თავისი შუნებით საბედისწეროა სახელმწიფოსთვის, თანდათან ხედავენ და ითვისებენ მწარმოებელი სოფლელები, სოფლის მეურნენი და ისინიც ორგანიზაციას აწყობენ, კავშირდებიან.

უკვე შესდგა სრულიად საქართველოს მევინეთა და მევენახეთა კავშირი. შეიკრიბა საქართველოს მესაქონლეთა და მეჯოგეთა ყრილობა, რომელიც, იმედია მტკიცე კავშირს შეჰკრავს. მოკლე ხანში უნდა გაიმართოს მეაბრეშუმეთა ყრილობა და ამას მოჰყვება სხვა და სხვა დარგის სოფლის მეურნეობ კავშირები, რაიც ბოლოს სრულიად საქართველოს მეურნე-მესაკუთრეთა კავშირით დაგვირგვინდება. მაშინ მწარმოებელი და მეურნე ქართველობა, რომელიც ნამდვილი ძალა და შემოქმედებაა ქვეყნისა, პოლიტიკურ ძალასაც ხელში დაიჭერს და აწარმოებს წმინდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ეკონომიურ პოლიტიკას. ამგვარ კავშირებით მტკიცედ შეკრული საქართველო რეალურად განახორციელებს მართვა-გამგეობის წონასწორობას და სიმკვიდრეს. ამაში იქნება საწინდარი მისი ევოლიუციური განვითარებისა.

ამგვარად საქართველოში თავის ადგილი მიეცემა იმათაც, ვინც საკუთრებას მტრულის თვალით უყურებს და ანადგურებს და ვინც პროლეტარულ ფილოსოფიას დღეს კონტრაბანდით სოფელ-სოფელ დაატარებს. ოღონდ თუ დღეს აკროსკოპია საჭირო, მაშინ საქართველოს პარლამენტში მიკროსკოპის შეტანა დაგვჭირდება პროლეტარულ იდეოლოგიის დეპუტატების სექტორის აღმოსაჩენად.

საქართველოც უფრო მტკიცე, უფრო დოვლათიანი შემომქმედი იქნება.

ამას მოგვიტანს შეგნებული სოციალური დარაზმვა.

## ძალმომრეობა საერობო არჩევნებში

ზუგდიდის მაზრიდან დეპეშები მოგვდის, რომ საარჩევნო კამპანიაში სახალხო გვარდია ერევა და აპატიმრებს არა სოციალ-დემოკრატ პროპაგანდისტებს. მაგ. სოფელ ჯგალში სათემო ერობის თავმჯდომარის ქვარცხავას განკარგულებით დაუპატიმრებიათ ეროვნულ-დემოკრატების პროპაგანდისტი ხოფერია. საარჩევნო კამპანია თავისუფლად ვერ მიმდინარეობს, მმართველი პარტია და მისი დირექტივის ამსრულებელი მილიცია და სახალხო გვარდია ხალხს აშინებენ. ხალხი ვერ ამჟღავნებს თავისუფალ ნების ყოფას. მუქარის და ახალი მათრახის ძალა მას მთავრობის პარტიის ყუთისკენ მიერეკება.

ცნობილია, რომ სოციალდემოკრატებმა გარდა ზუგდიდის მაზრისა საერობო არჩევნები ყოველგან გადასდევს. ზუგდიდში მათ არ ჰქონდათ ისეთი უმრავლესობა, რომ უკანტროლო და თვითნებური ბატონობა შესძლებოდათ და მოისურვეს ზუგდიდშიაც ასეთი უმრავლესობის მოპოება. აშკარა იყო, რაკი სოციალდემოკრატია ასეთი განზრახვით ნიშნავდა ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებს, რომ იგი ძალმომრეობას და გვარდიელის იარაღსაც მიმართავდა. ფაქტიურად სწორედ ასე ხდება. ჩვენ ეს მიგვაჩნია ალმაშფოთებელ მოვლენად. ეს ნამდვილი პროფანაციაა ყოველგვარი დემოკრატიული პრინციპის; აქ უარყოფილია ყოველგვარი რიგიანობა პოლიტიკური ბრძოლისა და პრინციპი მთავრობის და შეიარაღებული ძალის ჩაურევლობისა საარჩევნო კომპანიაში.

ხალხი დღემდე მარტო სოციალდემოკრატების სიტყვებს და დაპირებებს უსმენდა და ხმასაც პირველ ნომერს აძლევდა. დღეს ხალხმა პირველი ნომერი საქმეში დაინახა და სწორი დაფასების საშუალებაც მიეცა. რა თქმა უნდა იგი არ არის ისე მოხიბლული და გატაცებული როგორც დღემდე იყო და პირველ ნომერს ხმასაც ნაკლებათ აძლევს. მაგრამ მთავრობის აგენტების, მილიციისა და გვარდიის ამ საქმეში ჩარევა და აშკარაა, ძალმომრეობის წარმოება ხალხის თავისუფალი ნებისყოფის მიმართ, სწორედ პირველ ნომრის წამხდარ საქმის გამობრუნებას ისახავს მიზნად. ჩვენ მივაქცევთ ამ გარემოებას მთავრობის ყურადღებას და მოვითხოვთ რომ მან უზრუნველ ჰყოს მოქალაქის ელემენტარული საარჩევნო უფლება, სათანადო განკარგულების გაცემით ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციასა და გვარდიელების მიმართ. ძალმომრეობაც გაგონილა, მაგრამ ასეთი ტლანქი და უხეში არც ძველი რეჟიმის დროს ყოფილა!

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**სპარსეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია**

იანვრის 15-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს სადგომში საგარეო საქმეთა მინისტრის ხან-ხოილის თავმჯდომარეობით გაიმართა სხდომა სპარსეთ-აზერბაიჯანის კონფერენციისა. სხდომაზე შეიხნენ სავაჭრო და საფოსტო-სატელეგრაფო შეთანხმებას. საფოსტო-სატელეგრაფო შეთანხმების პროექტი გადაეცა ორივე მხარის წარმომადგენელთა მიერ შემდგარ საგანგებო კომისიას. რაც შეეხება სავაჭრო შეთანხმებას, იგი გადასინჯულ იქნება შემდეგ სხდომაზედ, რომელზედაც სპარსეთის დელეგაცია თავის პროექტს წარმოადგენს. („აზ.“)

**სტუდენტების გამგზავრება საზღვარგარეთ.**

იანვრის 14-ს სწრაფი მატარებლით საზღვარ გარეთ გაემგზავრა პირველი დასი სტუდენტებისა.

**ქრისტეშობისთვეში ამოსულ ნავთის რაოდენობა.**

ქრისტეშობისთვეში ამოღებულ ნავთის რაოდენობა უდრის 18.991.754 ფუთს. მათგან ძველ მოედანზე ამოსულა 10.744,490 ფუთი, ბიბი-ეიბათზე 3.026.942 ფუთი, სურახანში 3.665.887 ფ. და ბინიგადში 1.554,437 ფუთი. („აზერბ.“)

## ინგლისი

**ლოჯის პროგრამა მიღებულია.**

როგორც გაზ. „მატენ“-ი იტყობინება, ლონდონის თათბირს შედეგათ მოჰყოლია ამერიკის მიერ სამშვიდობო ხელშეკრულების დამტკიცება.

ლოჯის პროგრამა საბოლოოდ მიღებულია, მოკავშირეების მიერ შეტანილ ცვლილებებით. „მატენის“ სიტყვით ვილსონს წინასწარვე უცნობებია მოკავშირეებისათვის ის შენიშვნები, რომელნიც უკვე მიღებულად უნდა ჩაითვალონ, და ამ უკანასკნელთ კიდეც გამოუთქვამთ თვისი შეხედულება.

## რუსეთი

**შეკითხვები რუსეთის საქმეების შესახებ.**

„ტაიმს“ი იტყობინება, რომ თემთა პალატას განზრახული აქვს მისცეს მთავრობას მთელი რიგი შეკითხვებისა რუსეთის საქმეების შესახებ.

1. შეკითხვა მინისტრთა თავმჯდომარეს: დიდი ბრიტანეთის მთავრობას განზრახული აქვს თუ არა ცნობა, გარდა პოლონეთისა და ფინეთის რესპუბლიკებისა, კიდევ სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა, რომელნიც აღმოცენდნენ რუსეთის ყოფილ იმპერიის განაპირებში?

2. შეკითხვა საგარეო საქმეთა მინისტრს: უწყის თუ არა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, რომ ბოლშევიკებმა, გაიგეს რა სახელები იუდენიჩის მხარეზე გადასული ხუთასი აფიცრებისა, დახვრიტეს და უნდათ, რომ დახვრიტონ მათი ცოლები?

3. მინისტრთა თავმჯდომარისაგან ნებართვის აღება, იაფ-ფასიან წიგნების გამოცემაზე, შესახებ ბოლშევიკების მიერ ბარბაროსობის ჩადენისა, რომ ინგლისის საზოგადოებამ იცოდეს სარწმუნო წყაროებიდან სინამდვილე რუსეთში მომხდარ მოვლენებისა.

4. როდის და სად უნდა შეიკრიბოს კომიტეტი რუსეთის მომავალ საკითხების განსახილველად?

5. რომელ მთავრობებმა და წინანდელი რუსეთის იმპერიის რომელმა ნაწილებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა კომიტეტში. განზრახულია თუ არა უკვე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების ყრილობა“. „არ“.

**პარიზის პრესა საბჭოთა რუსეთის ბლოკადის შესახებ.**

(საქ. დეპ. სააგ.)

ლიონი. იან. 18. ამერიკის რადიოს ცნობა. საბჭოთა რუსეთის ბლოკადის მოხსნის გამო მთელი პარიზის პრესსა სავსეა ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებით. შეთანხმება მხოლოდ იმაშია, რომ ყველანი ერთად ჰკიცხავენ ინგლისს. პრესის აზრით ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება მიეწეროს თვით საბჭოს არამედ, გამომდინარეობს ლიტვინოვისა და ოაგრედის შორის წარმოებულ მოლაპარაკებიდან. ამ უკანასკნელმა თავის მოხსენება წარუდგინა ლოიდ-ჯორჯს, რომელმაც მოიწონა იგი. ამის შემდეგ შეტანილ იქმნა უმაღლეს საბჭოში სათანადო წინადადება ბლოკადის მოხსნის შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა ინგლისთან ერთად იტალიამაც და წინადადება მიღებულ იქმნა. ამგვარათ მოკავშირეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილების ინიციატივა ლოიდ-ჯორჯს ეკუთვნის. ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია აგრეთვე იტალიის პალატის განცხადებამ და აგრეთვე ნიტიმ, რომელმაც განაცხადა, რომ იტალიამ პასუხი მხოლოდ რუსეთიდან უნდა მიიღოსო. საფრანგეთის კონსერვატიული პრესა აშკარათ გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით, მხოლოდ საფრანგეთის ფინანსიური წრეები ამ დათმობით, ინგლისს სურს გავლენა მოახდინოს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაზე, ინდოეთსა, ავღანისტანსა, სპარსეთსა და ეგვიპტეში. საფრანგეთის სოციალისტურ წრეებში დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ამ გადაწყვეტილების გამო.

**ბოლშევიკების სამხედრო ცნობა**

მოსკოვი, 20 იანვარი. ნარვის რაიონში ჩვენსკენ გადმოვიდა მტრის 175 ჯარისკაცი. რეჟიცის რაიონში სასტიკი ომი კვლავ გრძელდება. მოზირის რაიონში ომი ცვალებადი ხასიათისა არის. მოგილევ-პოდოლის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეუერთდა წითელ პარტიზანულ რაზმს, რომელმაც აიღო ქ. მოგილევ პოდოლსკი. ელისავეტგრადის მიმართულებით ნოვომირგოროდის რაიონში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ხერსონის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მდ. დნეპრის პირად აიღო დაბა ბორისლავი და ვახოვკა, ხერსონიდან 60 ვერსის მანძილზე. პერეკოპის მიმართულებით ჩვენი წინსვლა ვითარდება. ნოვოჩერკასკის რაიონში, დონის მარცხენა ნაპირზე რაზდოროვსკის სამხრეთით ბრძოლა სწარმოებს სოფელი კარპოვკაიასათვის. ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით ჩვენი ჯარი ავიწროებს მტრის რაზმებს, სტანიცა სკოროდოლსკაიას სამხრეთით. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენმა ჯარმა გადალახა მდ. სალი და წინსვლას განაგრძობს. ტირნოვსკოეს რაიონში წითელი ჯარი წინსვლას განაგრძობს. სემიპალატინის რაიონში ბრძოლით ვუახლოვდებით ქ. სერგიოპოლს.

**ბრძოლა ხალხის სიბნელესთან.**

პეტროგრადი. იანვ. 17. ურიცკის სასახლეში შესდგა პეტროგრადის საბჭოს კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ზინოვიევი. ლუნაჩარსკიმ გააცნო კრებას გეგმა თავისი მომავალი მოღვაწეობისა. პირველ ყოვლისა მომხსენებლის აზრით საჭიროა ბრძოლა ხალხის სიბნელესთან. ორი წლის შემდეგ არ უნდა დარჩეს საბჭოთა რუსეთში არც ერთი წერა-კითხვის არ მცოდნე მოქალაქე. ამ მიზნის მისაღწევათ უნდა გაიხსნას 30.000 ახალი სკოლა და მრავალი სახალხო სამკითხველოები. შემდეგ სამეურნეო საკითხად შესახებ მოხსენებას კითხულობს კოტლიაკოვი, მისი სიტყვით სათბობი მასალის კრიზისი მცირედ შენელდა. თუმცა ხუთი ჩრდილო გუბერნიისთვის საჭიროა 2000000 საჟენი შეშა, რომელთაგან დამზადებულია 400,000 ხოლო გამოტანილი მხოლოდ 80000. შეშის დამზადებას ხელს უშლის სურსათის უქონლობა, ფრონტის სიახლოვე და სხვა მიზეზები. ზინოვიევი მოახსენებს კრებას, რომ გადაწყვეტილია ერთ-ერთი წითელი არმია გადაკეთებულ იქნას მშრომელ არმიად.

## გერმანია.

**300 მილ. მანეთი უკრაინის ბოლშევიკებისთვის.**

გერმანიის ერთი დიდი ჰაეროპლანი იძულებული გამხდარა ჩაშვებულიყო ბესარაბიაში მანქანის მოშლის გამო, შიგ მსხდარან: ორი აფიცერი და სამი მემანქანე, რომელთაც მოჰქონდათ უკრაინის ბალშევიკებისათვის სამასი მილიონი მანეთი, ქაღალდის ფულის მოსაჭრელი მანქანა და სხ.

ჰაეროპლანი გაკეთებულია ცეპელინის ქარხანაში, აქვს 260 ცხენის ძალის ხუთი მანქანა და ოცი-ათასი კილოს გადატანის უნარი. ამბობენ რომ ამ ჰაეროპლანით ბალშევიკებს აწვდიდენ სურსათს და ქაღალდებს.

ამასთანავე ხელთ უგდიათ ერთი საბუთი რომლითაც მტკიცდება, რომ გერმანელები არ ასრულებენ მათ მიერ ნაკისრ მოვალეობებს.

**რეინის დუნაისთან შეერთება.**

სულ მოკლე ხანში შეუდგებიან მდ. რეინის დუნაისთან შეერთებას. შემაერთებელ არხის თხრას ამ დღეებში შეუდგებიან.

**მემელის ტერიტორია.**

კენისბერგიდან იუწყებიან: მემელის ტერიტორიის კომისარმა გრაფ-ლამსდორფმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც მემელის ტერიტორიაზე სუვერენული უფლება მოკავშირეების ხელში გადადის. ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირნი და მოხელენი თავის მოვალეობას შეასრულებენ ძველი კანონების მიხედვით. მემელის ტერიტორია გერმანიიდან გამოყოფილია საბაჟოთი. რუსეთთან საბაჟო საზღვარი ძველებურად რჩება.

## საფრანგეთი

**საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი დეშანელი.**

შაბათს, 17 იანვარს დეპუტატთა პალატა და სენატი პრეზიდენტის ამოსარჩევად ვერსალში შეიკრიბა. დილიდანვე ვერსალის ქუჩებს დიდი სიცხოველე ეტყობოდა. კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა 889 კაცი. რესპუბლიკის პრეზიდენტათ 734 ხმით ამოირჩიეს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე დეშანელი.

პრეზიდენტის არჩევის გამო სენატისა და პალატის პოლიტიკურმა ჯგუფებმა სენატის სასახლეში თავი მოიყარეს. ამ კრების მიზანი იყო მოლაპარაკება პრეზიდენტის და დიდატის არჩევის შესახებ. წამოყენებულ იქმნა

კლემანსოსა და დეშანელის კანდიდატურა. კენჭის ყრის შედეგი დეშანელმა მიიღო 408 ხმა, კლემანსომ 389, როგორც კენჭის ყრის შედეგი გამოქვეყნდა ყველა მინისტრი და მასი ამხანაგები გაემგზავრნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში, რათა კლემანსოსთან ერთად ეთათბირათ შექმნილ მდგომარეობაზე. რამდენიმე ხნის შემდეგ კლემანსომ მიმართა კონგრესის თავმჯდომარეს ლეონ ბურჟუას წერილით,—რომ მას რესპუბლიკის პრეზიდენტათ თავისი კანდიდატურის წამოყენების თანხმობა უკან მიაქვს.

**კაბინეთის გადადგომა**

კვირას, ელისეს სასახლეში კლემანსოს კაბინეტის წევრები უკანასკნელ სხდომაზე შეიკრიბნენ. ამის შემდეგ კლემანსომ პუანკარეს გადასცა თხოვნა მთელი კაბინეტის კოლექტიური გადადგომის შესახებ.

**საფრანგეთის პრეზიდენტი პ. დეშანელი.**

პ. დეშანელი დაიბადა 1856 წ. ახალგაზრდობაში ის მისდევდა ჟურნალისტიკას, იყო რედაქტორად გაზ. „ჟურნალ დე დებატს“-ის. დიდ ყურადღებას აქცევდა სახალხო საქმეებს და მოკლე ხნით იყო მინისტრად. პ. დეშანელი მრავალ გზის არჩეული დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად. სხვათა შორის მას [...]სდევს შესანიშნავი მჭევრ-მეტყველება. ახალ პრეზიდენტს აქვს შედგენილი მრავალი წიგნი, როგორც [...]შენო საქმეებზე, ისე საერთო ფილოსოფიურ საგნებზე.

პ. დეშანელი დიდ ყურადღებას აქცევდა საფრანგეთის საგარეო საქმეებს და ერთხანს კიდეც იწვევდნენ საფრანგეთის საგარეო მინისტრად.

**დეშანელის სიტყვა.**

რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამორჩევისთანავე დეშანელმა მისალმებაზე უპასუხა შეერთებულ კრების თავმჯდომარე ლეონ ბურჟუასა და მთავრობის წარმომადგენელ ნაილს. „როგორც [...]ონის ერთგული დამცველი მე ყოველგვარ ღონეს ვიხმარო, — სთქვა —რომ გავაძლიერო და გავაუმჯობესო რესპუბლიკასთან და ერთან [...]ეც შეთანხმებით თავისუფალი დაწესებულებანი. მივესალმები ჩემ სახელოვან წინამორბედთ და მათ შორის რაიმონდ პუანკარეს, რომელიც ამ [...] ღირსეულად და კეთილშობილად [...]გენდა საფრანგეთს. მივესალმები აგრეთვე დიდ ფრანგს, რომელმაც გამარჯვებისათვის ბევრი იშრომა და [...]ლი ეროვნული ენერგია შეჰკრიბა. საფრანგეთს და რესპუბლიკას მივ[...]ან ყველაფერს, რასაც კი დამაკისრებს ჩემი მოვალეობა და ჩემი სულის [...]ლი ძალა“. საღამოს დეშანელი [...]ობაზე ელისეს სასახლეში პუანკარეს და უმაღლეს საბჭოში კლემანსოს.

**დეშანელის დეკლარაცია**

[...]მშაბათ დილით მილერანი ახალ [...]ნეტს წარუდგენს პუანკარეს. დეშანელის დეკლარაცია ახალი კაბინეტის სახელით ხუთშაბათს წაკითხული [...]ბა ორივე პალატაში.

**კლემანსო**

დიპლომატიური მოლაპარაკება რომ არ შეწყდეს, ამიტომ კლემანსო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის მოვალეობას არ მოიხსნის მანამდის, სანამ ახალი მთავრობა არ შესდგება. [...]მშაბათს კლემანსო დაესწრება უმაღლესი საბჭოს სხდომას. ამის შემდეგ ლოიდ-ჯორჯი და ნიტი, ალბათ, პარიზს დასტოვებენ და გაემგზავრებიან ლონდონსა და რომში, ისინი მოიცდიან მანამდის, სანამ ახალი კაბინეტი პალატებს არ წარუდგება. ამის შემდეგ ისინი განაახლებენ თავის მუშაობას, განსაკუთრებით ოსმალეთის საქმის გასარჩევად. მიმდინარე საქმეები ამის გამო სრულებითაც არ [illegible], რადგანაც საზავო კონფერენციის მთავარი სამდივნო არის [...]ვე დაწესებულება და მით უზრუნველ ყოფილია კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში პრაქტიკული გატარება.

კლემანსო თავს ანებებს პოლიტიკურ [...]ობას და ჟურნალისტობას. იგი [...]ლ კვირას დასასვენებლად წავა [...]ას, სადაც შეუდგება მემუარების [...] ომის შესახებ. „გაზეთებში აღარ [...]მშრომლებ, მე წიგნის წერას [...]ო“, განუცხადა კლემანსომ თავის [...]ლო მეგობრებს.

**დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის არჩევისათვის**

დეპუტატთა პალატის თავმჯდომა[...] არჩევის საკითხი მაშინ იქნება [...]ნებული როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის უფლებებს [...]ის, ე. ი. 18 თებერვალს. პრე[...]ტების მიხედვით პოლ-დეშანელს [...]რს ამ დრომდის დასტოვოს თავისი ადგილი. ამ მომენტის შემდეგ კი ბურბონის სასახლეში სხდომები თავმჯდომარის ამხანაგების ხელმძღვანელობით გაიმართება. რაც შეეხება პალატის თავმჯდომარის ადგილს,—გაზეთები ასახელებენ: ლუი ბარტუს, რაულ პერეს, ფრანსუა არაგოს და ჟორჟ ლეიგს.

# იტალია

(საქართ. დეპ. სააგ.)

**ფიუმე**

მოკავშირეთა მთავრობათა თავმჯდომარეებმა სამხრეთ სლავიის დელეგაციას აცნობეს იმის შესახებ, რომ იტალია უარს აცხადებს ქ. ფიუმეზე სუვერენიტეტობასა და სებენიკოს დემილიტარიზაციაზე. ამგვარათ ფიუმე ხდება დამოუკიდებელ ქალაქად. მისი ნავთსადგური გადაეცემა ერთა ლიგას. ქალაქი სიუსაკი გადაეცემა სამხრეთ სლავიას, რომლის წარმომადგენლებმაც ახალი ინსტრუქციებისათვის ბელგრადს მიმართეს. პასუხს მიიღებენ შაბათს ან კვირას.

# ოსმალეთი

**უნდობლობა ინგლისისადმი**

იურევი. იან. 15. პარიზის გაზეთი „ბუნდი“ იუწყება, რომ ოსმალეთში თანდათან იზრდება ინგლისისადმი უნდობლობა. „ბუნდის“ სიტყვით მესოპოტამიას, არაბეთსა და ოსმალეთის ზოგიერთ სხვა კუთხეებშიაც ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა სწარმოებს.

**ენვერ ფაშა**

გერმანულ რადიოს ცნობით ენვერ ფაშა ხელმძღვანელობს რევოლიუციურ მოძრაობას თურანსა, ავღანსა და ბელუჯისტანში.

(საქ. დეპ. სააგ.).

**ბეხადინ-შაქირის და რაზიმს გასამართლება.**

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: სამხედრო სასამართლომ გაასამართლა ბეხადინ შაქირი და ექიმი რაზიმ რომელნიც ხელმძღვანელობდენ „ერთობა პროგრესის“ კომიტეტს და რომელნიც უმთავრესი დამნაშავენი არიან ომის დროს მომხდარ ჟლეტაში. დღეს ისინი გერმანიაში იფარავენ თავს. შაქირს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა და რაზიმს კი 15 წლის კატორღა.

# მთა

**პეტროვსკის ევაკუაცია**

გაზ. „ვოლნი გორეცი“-ს სიტყვით მოხალისენი პეტროვსკის ევაკუაციას აწარმოებენ.

# სპარსეთი

(ს. დ. ს.)

**სპარსეთი ერთა ლიგაში**

ერთა ლიგასთან შეერთებაზე თანახმაა სპარსეთის მთავრობაც.

# შვეიცარია

(საქ. დეპ. სააგ.)

**შვეიცარია ერთა ლიგაში**

შვეიცარიის ყოფილ პრეზიდენტს გუსტან ადორს სურს უმაღლეს საბჭოს მოელაპარაკოს შვეიცარიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

# რუმინეთი

(ს. დ. ს.)

**ვაიდა ვოევოდას მოხსენება რუმინეთზე**

კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ნიტიმ სამშაბათ დილის სხდომაზე მოისმინეს, რუმინეთის პრემიერის ვაიდა ვოევოდას მოხსენება რუმინეთის მდგომარეობის შესახებ. საკითხის გარჩევას დაესწრო აგრეთვე მილიერანიც.

# ფინეთი

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ბალტიის მხრის სახელმწიფოთა კონფერენცია.**

ლიონი, იან. 18. ბალტიის მხრის სახელმწიფოთა კონფერენცია, მოწვეული ფინლიანდიის მთავრობის მიერ, პარასკევს გაიხსნა ქ. ჰელსინგფორსში. პირველ სხდომაში, რომელიც მოხდა გარეშე საქმეთა სამინისტროს დარბაზში დაესწრნენ მხოლოდ სამხედრო წარმომადგენელნი პოლონეთისა, ფინლიანდიისა, ლატვიისა, ესტონიისა და ლიტვისა.

კონფერენციას თავმჯდომარეობდა ფინლიანდიის პრემიერ მინისტრი. კონფერენციამ აირჩია კომისიები ნაციონალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხთა გასარკვევათ. ნაციონალურ საკითხთა კომისიას ევალება საზღვრების საქმეთა მოწესრიგება.

# ეგვიპტე

(კავკ. მყოფ მოკავშირეთა მისიის ცნობა)

**მდგომარეობა ეგვიპტეში.**

„ვესტმინსტერ გაზეთი“-ს რედაქტორ სპენდერმა, რომელიც ლორდ მილნერის მისსიაში შედის, განაცხადა, რომ ეგვიპტეში წესიერება აღდგენილია. მისიამ შესძლო ეგვიპტის ნოტაბლებს შესთანხმებოდა.

# ჩინეთი

(კავკ. მყოფ მოკავშ. მისიების ცნობა)

ჩინეთის დასახმარებლად შესდგა კონსორციუმი შეერთ. შტატების, დიდ-ბრიტანეთის, საფრანგეთის და იაპონიის ბანკების, რომელიც ციესქვეშეთ იმპერიას გარანტიას აძლევს 55 მილ. დოლლარით. ამას გარდა „Pacitie Developpement corporation“ თავის მხრივ ჩინეთს ანიჭებს 30 მილ. დოლლარს რომელთაგან 5 500.000 დოლ. კიდეც არის შეტანილი. კონსორციუმის მოქმედების სფეროში შედიან მანჯურია და მონგოლეთი.

# უმაღლეს საბჭოში

(საქ. დეპ. სააგ.)

**რუსეთის საკითხი.**

ორშაბათს უმაღლეს საბჭოს სხდომაზე, რომელიც კლემანსოს თავმჯდომარეობით მოხდა, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლოიდ ჯორჯმა, ნიტიმ, მარშალმა ფოშმა, ინგლისის ჯარის მთავარი შტაბის უფროსმა მარშალმა სერ გენრი ვილსონმა, სამირბაროს პირველმა ლორდმა ამირბარ ბიტიმ და ინგლისის სამხედრო მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა. მთავრობის თავმჯდომარეთა და მათ თანამშრომელთა ყურადღება მიიპყრო რუსეთის საქმეებმა. მარშლებისა და ამირბარების სხდომაზე დასწრება საკმაო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ საკითხს სამხედრო თვალსაზრისით არჩევდენ. საბჭომ მოუსმინა საქართველოს რესპუბლიკის დელეგატების ჩხეიძეს, წერეთელსა და ავალოვს და აზერბაიჯანის—მარდან-ბეგ ტოპჩიბაშევს. კავკასიის ამ ორი სახელმწიფოს წარმომადგენლები დიდხანს უმარტავდენ უმაღლეს საბჭოს თავიანთ ქვეყნის საჭიროებებსა და სურვილებს. მათ განაცხადეს, რომ მთიულები რაინდი ხალხია მათ თავის დროზე ყოფილ რუსეთის ჯარში საუკეთესო ნაწილები შექმნეს.

კლემანსო, მილიერანი, ლოიდ ჯორჯი და ნიტტი, სჯელობდნენ სხვა და სხვა აუცილებლად გადასაჭრელ საკითხებზე, მათ შორის რუსეთის საკითხებზე. სამშაბათ დილით კიდევ არ ყოფილა მიღებული პასუხი სამხრეთ-სლავიის ადრიატიკის შესახებ. საღამოს საბჭომ დ'ორსეის წყლის პირის ქუჩაზე კვლავ შეიკრიბება. თუ მანამდის სამხრეთ-სლავიის პასუხი მოვიდა საბჭო მას განიხილავს, საბჭომ სხვათა შორის უნდა მოაწესრიგოს საზავო კონფერენციის მთავარი სამდივნოს მომავალი მოქმედება. სამშაბათს ნიტის წასვლის შესახებ საკითხი არ აღძრულა.

**ადრიატიკის საკითხის შესახებ.**

ორშაბათს ღამით სამხრეთ-სლავიის დელეგაციამ მიიღო შიფრიანი დეპეშა, რომელშიაც არის პასუხი ადრიატიკის საკითხის შესახებ. ცუდი ამინდის გამო დეპეშამ დაიგვიანა. ამ პასუხს სამხრეთ-სლავიის დელეგატები გადასცემენ უმაღლეს საბჭოს.

# ბალტიის ბლოკადა

(მოკავშირეთა მისსიების ცნობა).

შტეტინიდან იუწყებიან, რომ თანახმად საზღვაო მისსიის მიერ მიღებულ რადიო-ცნობისა, ბალტიის ზღვის ბლოკადა კვირას დასრულდა. პირველი გერმანული გემები ზღვაზე კიდეც გავიდნენ.

# ახალი სტატისტიკური ცნობები ურიათა შესახებ

ინგლისურ გაზეთებში მოყვანილია ახალი სტატისტიკური ცნობები, ურიათა შესახებ, შეკრებილი დავის ტრიჩის მიერ. ტრიჩის გამორიცხვით დედამიწის ზურგზე ურიათა რაოდენობა აღწევს 15.430.000. მათგან პოლონეთში მოსახლეობს 3.300.000, უკრაინაში 3.300.000, შეერთებულ შტატებში—3.100.000, ველიკოროსსიაში (ციმბირითურთ)—900.000, რუმინიაში—650.000, გერმანიაში—540.000, ჩეხოსლოვაკიაში—450.000, ბრიტანიის კუნძულებზე — 300.000, ავსტრიაში—300.000, ლიტვაში—250.000, სამხრეთ-სლავიაში—200.000, აფრიკაში, (მაროკკოსა, ალჟირისა და თუნისის გარეშე)—170.000, საფრანგეთში — 150.000, ალჟირსა და თუნისში—150.000, არაბეთში—130.000, საბერძნეთში — 120.000, ჰოლანდიაში — 110.000, მაროკკოში—110.000, არგენტინაში — 100.000, კანადაში—100.000, ოსმალეთში—100.000, პალესტინაში—100.000, (საქართველოს ურიები ტრიჩს მხედველობაში არ მიუღია) ევროპის სხვა და სხვა კუთხეებში—200.000, აზიაში — 100.000, ამერიკის კუთხეებში—30.000, ავსტრალიაში 20.000, ჰუნგრეთში 450.000.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა აღიარებისთვის

(ინგლისური პრესსის ცნობა)

უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა იცნოს de facto სომხეთისა, საქართველოსი და აზერბაიჯანის. ამ სამი ახალ სახელმწიფოს უჭირავთ ადგილი, შემოზღუდული არარატის მთით, კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირის სამხრეთ ნაწილით და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირით. მათი აღიარება, მიუხედავად ამისა, მაინც არა სწყვეტს ამ რესპუბლიკების საკითხს. სომხეთის სტატუსი გადაშინჯული იქნება სომხეთის საზავო ხელშეკრულობასთან ერთად.

# ახალი ამბები

## მთავრობაში

**საგ. საქ. სამინისტროში**

**თათბირი**

გუშინ შუადღის 12 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტში შესდგა საგანგებო თათბირი დღევანდელ პოლიტიკურ მომენტის განსახილველად თათბირში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხანხოელი და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ბ. ა. ხატისოვი, თათბირმა 3 საათამდე გასტანა.

**გაზეთ „გოლოს რაბოჩაგოს“ დახურვა.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით 20 იანვრიდან დახურეს გაზეთი „გოლოს რაბოჩაგო“ იმ წერილის გამო რომელიც მოთავსებული იყო ხსენებულ გაზეთის 2 №-ში სათაურით: „ქართული დამოუკიდებლობის აღიარების გამო“, სადაც აშკარად უარყოფითი აზრი იყო გამოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

**სამხედრო წესების მოხსნა**

რესპუბლიკის რკინის-გზებზე 18 იანვრიდან მოიხსნა სამხედრო წესები.

## განათლ. სამ ნ სტროში

**ბრმათა სკოლის შტატები და ხარჯაღრიცხვა**

განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა მოხსენება ბრმათა სკოლის ახალი შტატებისა და ხარჯთ აღრიცხვის შესახებ.

**ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელთათვის**

დ. კასრაძემ შეადგინა ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელთათვის სახელმძღვანელო განათლების სამინისტროს გადაეცა განსახილველად.

**ტერმინოლოგია „შევარდენისათვის“**

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა საზ. „შევარდენის“ მწყრთნელთა მიერ შედგენილი ტან-ვარჯიშობის ტერმინალოგია ქართულ ენაზე.

## მიწათ-მოქმედების სამ ნის-ტროში.

**ყრილობა.**

იანვრის 20-ს მიწათ-მოქმედების მინისტრის ნ. ხომერიკის თავმჯდომარეობით გაიხსნა რესპუბლიკის საერობო გამგეობათა სამადგილ-მამულო განყოფილებათა გამგეობის ყრილობა. ყრილობის მსჯელობის საგანია: მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების დაჩქარება. პირველ დღეს ყრილობას მოხსენდა მიწის-მზომელთა ტექნიკურ ნამუშევრის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

## სხვ. და სხვ. ამბები

**მ. ჩალხუშიანის ჩამოსვლა.**

როსტოვიდან გამოქცეული სომხეთა საზოგადო მოღვაწე გ. ჩალხუშიანი ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა.

**გემის დაგვიანება.**

საქართველოში მყოფმა იტალიის მისიამ აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იტალიის გემი, რომელსაც ევროპის ფოსტა მოაქვს, რამოდენიმე დღით დაიგვიანებს.

**ბანკეტი მინისტრის პატივსაცემათ**

შაბათს, იანვრის 24-ს, სასამართლო უწყების მოხელენი ქართულ მწერალთა კლუბ „ქიმერიონში“ ბანკეტსა მართავენ ყოფილ იუსტიციის მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის პატივსაცემლად. სადილზე მოწვეულია აგრეთვე იუსტიციის აწინდელი მინისტრი რაჟ. არსენიძე.

## სამხატვრო ქრონიკა

**ი. ფიზბერგის კონცერტი**

იანვრის 24-ს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ი. ფიზბერგის კონცერტი. კონცერტის პროგრამაში შედის: ნაწარმოებნი ბახისა, ბრუხის, ვენიავსკის, შაბრან—ნამის, პორპორკრეისლერის, სარასატეს და სხ.

**ლ. ჯონსონის და ალფეროვის საღამოები.**

იანვრის 26-სა და 29 ში თბილისის საკრებულო დარბაზში გაიმართება ლიდია ჯონსონის და მისი პარტ. ალფეროვის 2 საცეკვაო საღამო.

**დავით კლდიაშვილის იუბილე.** დ. კლდიაშვილის საიუბილეო კომისიამ წარსულ ოთხშაბათის სხდომაზე გადასწყვიტა დ. კლდიაშვილის იუბილე გადაიდოს 15 თებერვლისთვის. იმავე სხდომაზე მოწვეულ იყვნენ მწერალკრიტიკოსები რომელთაც დაევალათ ამ დღისთვის მოხსენების და წერილების დამზადება იუბილიარის შესახებ. დავით კლდიაშვილის საიუბილეო დღისთვის გამოვა საგანგებო წიგნაკი სადაც მოთავსებული იქნება წერილები იუბილიარის შესახებ და მისი ავტობიოგრაფია. დ. კლდიაშვილის იუბილე გაიმართება სახელმწიფო თეატრში.

## დრამატიული საზოგადოების კრება

კვირას, 19 იანვარს, ქართულ კლუბში შესდგა დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პ. დ. საყვარელიძე, ხოლო მდივნად არტემ ახნაზაროვი. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბ. მაჭავარიანმა აუწყა კრებას, რომ სარევიზიო კომისია იძულებული იყო მას მოეწვია საზოგადო კრება, რადგან გამგეობას სამი წლის განმავლობაში აოც ერთხელ არ მოუწვევია საზოგადო კრება. გამგეობას არ ჰქონდა მზად თავის მოქმედების შესახებ მოხსენება წარედგინა კრებისათვის, ამისათვის კრება გადაიდო შემდეგი კვირისთვის. (25 იანვარს) დაევალა გამგეობას და სარევიზიო კომისიას წარმოუდგინოს მომავალ კრებას მოხსენება. კრებამ დაადგინა აგრეთვე შესცვალოს საზოგადოების წესდება დღევანდელ პირობების მიხედვით; ამ მიზნით არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომლის წევრებად არიან: ა. გ. ლაცხიშვილი, ზ. დადიანი და კ. ანდრონიკაშვილი. კომისიამ მომავალ კრებაზე უნდა წარმოადგინოს საზოგადოების გადახალისებული წესდება დასამტკიცებლად. შემდეგ კრებამ მიიღო ახალი წევრები, რომლის რიცხვი არ აღემატება. მომავალ კრებაზე არჩეულ იქნება საზოგადოების ახალი გამგეობა და განიხილება მიმდინარე საკითხები.

# თეატრი

**დღეს:**

**სახელმწიფო თეატრი.** „აბესალომ და ეთერი.

**ქართული კლუბი.** „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

# მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობაზე

21 იანვარს სახალხო სახლში გაიხსნა სრულიად საქართველოს მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობა.

ყრილობა ნაშუადღევს 1 საათ. გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალ. მაჩაბლიშვილმა, უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა და წინადადება მისცა თავმჯდომარე აერჩია. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა გ. დ. ჟურული, რომელიც ვრცელი სიტყვით მიესალმა ყრილობას.

პირველ მისასალმებელ სიტყვით მიმართა ყრილობას მიწად-მოქმედების მინისტრმა ნ. ხომერიკმა. შემდეგ მიულოცეს ყრილობას მეაბრეშუმე მეთაშბაქოეთა მხრით, ტ. მარგველაშვილმა, ფინანსთა და ვაჭრობა - მრეწველობის სამინისტროს მხრივ მინისტრის ამხანაგმა ბ. ავალიანმა, მომარაგების სამინისტროს მხრივ ა. ჭავჭანიძემ აგრონომიულ ყრილობის საბჭოს მხრივ გ. რცხილაძემ, მოსკოვის სახალხო ბანკის მხრივ ა. გრიგოლიამ, მევენახეთა საბჭოს მხრივ ი. ანდრონიკაშვილმა კოოპერატიულ საზ. „კახეთის“ მხრივ ირ. ფორაქაშვილმა და სხვ. მილოცვების შემდეგ არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდნენ: გ. ჟურული, ა. მაჩაბლიშვილი, შ. ქარუმიძე, ი. ციციშვილი. პროვინციიდან პრეზიდიუმში შევიდნენ დ. ქადაგიძე, შ. ბეგიაშვილი, ქერიმ-ბეგ მუსტაკულოვი, ალ. კუჩენბახი, გ. ნადირაშვილი, დ. კარატიელ ქუმსიშვილი. მდივნებად ა. ჯავახიშვილი, ვ. ათანცაშვილი, კონგრესზე დაესწრო 300 სულზე მეტი წარმომადგენელი. ცხვრის ბინიდან რომელშიაც შედის 3000-4000, სული თითო წარმომადგენელი. სხვა და სხვა კუთხისა სახელდობრ: ჯავახეთის, თრიალეთის, ერწო-ფშავეთის, თუშეთის, ხევსურეთის, ქიზიყის, შირაქის და სხვა კუთხეების მესაქონლენი ჩამოსულ არიან ბორჩალოს მაზრიდან მაჰმადიანნი, გერმანელები და ქართველები სულ 33 სული.

პრეზიდიუმის არჩევნების შემდეგ არჩეულ იქმნა კომისიები, რომელიც იმუშავებს მოხსენებებს ადგილებიდან კრება დაიხურა ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე.

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

# სავაჭრო-სამრეწველო პალატა

**სავაჭრო ბიულეტენი**

ქ. თბილისი, 21 იანვარი 1920 წ.

| | |
|---|---|
| **კ უ რ ს ი** | |
| სტერლინგი: | |
| ა) ბანკნოტი | 970 მ. |
| ბ) ჩეკი | 925 „ |
| ფრანკი ფრანგული | 25,50 „ |
| ჩეკი | 21,50 „ |
| ლირა იტალიური | 19 „ |
| ლირა ოსმალური: | |
| ა) ოქროს | 1400 „ |
| ბ) ქაღალდის | 250 „ |
| მარკა გერმანული | 11-12 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | |
| ა) ასი მანეთიანი | 190-200 „ |
| ბ) ხუთასი მანეთიანი | 900 1000 „ |
| ათ მანეთიანი ოქრო | 1500 „ |
| **ფასიანი ქაღალდები:** | |
| თბილ. საადგ.-მამულო ბანკ. | |
| გირავნ. ფურცლ. | 102 „ |
| ქუთაისისა | 88 „ |
| თბილ. საკრედ. საზოგ. ობლიგაცია | 106-108 „ |
| აქც. კავკ. ბანკისა | 900 „ |
| აქც. ამიერ კავკ. ბანკისა | 255 „ |
| ვაჭართა ბანკ. | 360-400 „ |
| ქარ. სატრ. საზ. აქც. | 350 „ |
| რენტა | 215 „ |
| **საქონლის ფასი:** | |
| მატყლი ფუთი: | |
| გარეცხილი | 1000-1100 მ. |
| გაურეცხავი | 800-900 „ |
| ჯაგარი: | |
| ა) გარჩეული | 7000 „ |
| ბ) გაურჩეველი. | 4500-5000 „ |
| ბამბა ფუთი | 1400-1600 „ |
| ღვინო კახური ვედრო | 400-700 „ |
| ხორბალი ფუთი: | |
| ა) ქართლისა | 450-500 „ |
| ბ) ბორჩალოსი | 450 500 „ |
| შაქარი ფუთი: | |
| ა) რაფინადი | 4000 „ |
| ბ) ფხვნილი | 3100 „ |
| სიმინდი ფუთი | 220 „ |
| ლობიო ფუთი | 290 „ |
| ბრინჯი აქულისა ფუთი: | |
| ა) 1 ხარისხისა | 900 „ |
| ბ) 2 ხარისხისა | 700 „ |
| პურის ფქვილი ფუთი: | |
| ა) რუსეთისა | 1040-1060 „ |
| ბ) ადგილობრივი | 550 „ |
| სიმინდის ფქვილი ფუთი | 270 „ |
| მაკარონი ფუთი | |
| კართოფილი ფ. | 220 „ |
| კომბოსტო ფუთი | 90 „ |
| ერბო გირვ. | 100-120 „ |
| კარაქი დასადნობი გირ. | 120-200 „ |
| ყველი გირვანქა: | |
| ა) თუშური | 45-55 „ |
| ბ) ოსური | 45-50 „ |
| გ) სულგუნი | — „ |
| კვერცხი 100 ცალი | 350-400 „ |
| კაკალი ფუთი | 280 „ |
| თხილი ფუთი | 300 „ |
| ხორცი გირვანქა: | |
| ა) ძროხისა | 20 „ |
| ბ) ცხვრისა | 22-25 „ |
| გ) ღორისა | 18-25 „ |
| ქათამი | 100-190 „ |
| ინდოური | 200-400 „ |
| ბატი | 150-200 „ |
| იხვი | 100-150 „ |
| ხიზილალა გირვ. | 380 „ |
| დოში გირვ. | 50 „ |
| ორაგული გირვ. | 70 „ |
| ზუთხი გირვ. | 50 „ |
| შეშა 1 კუბ. საჟ. | |
| ა) რცხილისა | — „ |
| ბ) წიფლისა | — „ |
| ნავთი ფუთი | 120 „ |
| ბენზინი ფუთი | 275 „ |
| ტყავი ნედლი ფუთი: | |
| ხარისა | 400-600 „ |
| ცხვრისა ცალი | 100-120 „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 19 ვაჭრობა და მრეწველობა № 19
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

## სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი

თუ სახელმწიფო შემოსავალს ჩამოვწერთ დაღმავალ რიგზე მოსალოდნელ შემოსავლის რაოდენობის მიხედვით, მაშინ მივიღებთ შემდეგს:

| | | |
|---|---|---|
| V. სახელმწიფო ქონება და თანხები | 574.208.420 მან. | — 76,5% |
| II. არა პირდაპირი გადასახადი | 89.247.000 „ | — 11,9 „ |
| I. პირდაპირი გადასახადი | 55.275.300 „ | — 7,4 „ |
| III. ბაჟი | 18.986.400 „ | — 2,5 „ |
| IV. სახელმწიფო რეგალიები | 7.948.392 „ | — 1,1 „ |
| IX. დანარჩენი შემოსავალი | 3.311.959 „ | — 0,5 „ |
| VIII. სახელმწ. ხაზინის ხარჯის ანაზღაურება | 923.716 „ | — 0,1 „ |
| ჯამი შემოსავლისა | 749.901.187*) მ. | — 100% |

გადასახადების და ფინანსიური სისტემა საქართველოს შემკვიდრეობით დარჩა რუსეთის სახელმწიფოდან და დღევანდლამდე ამ სფეროში არ შეტანილა არავითარი ძირითადი ცვლილება. ამიტომ საქართველოს ბიუჯეტის ნათელ-საყოფათ საუკეთესო საშუალებაა შევადაროთ რუსეთის ბიუჯეტი და საქართველოს ხარჯთ-აღრიცხვა.

რუსეთის უკანასკნელი ხარჯთ-აღრიცხვა ომის დაწყებამდე (1914 წ.), რომელზედაც ომიანობის დროით გამოწვეულ გადიდებულ გასავალს ჯერ გავლენა არ მოეხდინა, შემოსავლის ბალანსით, შემოსავლის მუხლების იმავე კლასიფიკაციით, იძლეოდა შემდეგს:

| | | |
|---|---|---|
| V. სახაზინო ქონება და თანხები | 1.111,8 მილ. მან. | — 31,6% |
| IV. სახელმწიფო რეგალიები | 1.069,5 „ „ | — 30,4 „ |
| II. არაპირდაპირი გადასახადი | 702,2 „ „ | — 20,1 „ |
| I. პირდაპირი გადასახადი | 264,5 „ „ | — 7,5 „ |
| III. ბაჟი | 232,4 „ „ | — 6,6 „ |
| VIII. სახელმწ. ხაზინის ხარჯ. ანაზღაურება | 116,6 „ „ | — 3,3 „ |
| IX. დანარჩენი შემოსავალი | 17,7 „ „ | — 0,5 „ |
| ჯამი შემოსავლისა | 3.521,7 მილ. მ. | — 100% |

მოყვანილ ხარჯთ-აღრიცხვაში ერთ და იგივე შემოსავლის რაოდენობის საასდანო ფარდობის (процентное отношеніе) შედარების დროს უპირველესად ვამჩნევთ პირველ მუხლში აღნიშნულ სახაზინო ქონების და თანხის შემოსავლის რაოდენობის შეუსაბამობას: საქართველოს ხარჯთ აღრიცხვით მოსალოდნელია 76,5 პროც., იმ დროს როდესაც რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვის ეს შემოსავლის მუხლი იძლეოდა მხოლოდ 31,6 პროც.

ერთის შეხედვით ამგვარი გარემოება საქართველოს ხარჯთ-აღრიცხვისთვის შეადგენს დიდ შესამატს, რადგან სახელმწიფო ნუსხის ბალანსის შედგენა იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლის ³/₄ შეადგენს სახელმწიფო ქონება და თანხები, ძლიერ ადვილი საქმეა მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ ხარჯთ-აღრიცხვის ამ დარგს, მაშინ გამოჩნდება, რომ უმთავრესი ნაწილი შემოსავლისა (252.000,000) მოსალოდნელია მიწის ფონდის გადაცემით კერძო საკუთრებად, ასეთი

*) არ შედის სახელმწიფო ხაზინის მოკლევადიანი 5 პროც. ვალდებულებათა გამოცემის აპერაცია.

აპერაციის საქებით გატარება კი ერთი წლის განმავლობაში ძლიერ ძნელია.

მეორე დიდი თანხა, რომელიც შედის მეხუთე დარგში საქართველოს რკინის გზების შემოსავალი, აღრიცხული 231 მილიონ მან. მთლიანად იფარება მათი საექსპლოატაციო ხარჯებით (244.757,144 მან.), ასე რომ ამ მუხლით არამც თუ მოსალოდნელია რეალური შემოსავალი, არამედ მოსალოდნელია 13,7 მილიონ მან. დეფიციტი, იმ დროს როდესაც რუსეთის ბიუჯეტი ხაზინის რკინის გზები იძლეოდნენ 858,3 მილიონ მან. საექსპლოატაციო ხარჯი კი უდრიდა 677,3 მილიონ მან., და ხარჯის დაფარვის შემდეგ ხაზინის რკინის გზიდან რჩებოდა წმინდა შემოსავალი 181 მილიონი მან.

თუმცა ამ უკანასკნელ დროს რკინის გზის საქმის გაუმჯობესობა იძლევა საბუთს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის ეს დარგი ფაქტიურად უფრო უკეთ განხორციელდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

გადავდივართ რა გადასახადებზე, ამ სიტყვის უახლოესს მნიშვნელობით, რომელნიც ნაჩვენები არიან ორ შესადარებელ ხარჯთ-აღრიცხვაში მეორე და პირველ დარგებში, საჭიროა აღინიშნოს, რომ პირდაპირი გადასახადები საასდანო ფარდობით ორივე ხარჯ-აღრიცხვის ჯამთან შედარებით თითქმის ერთი და იგივეა (7,4 პროც. და 7,5 პროც.), მაგრამ არა პირდაპირი გადასახადი რუსეთის ხარჯ-აღრიცხვით ჰფარავდა 20,1 პროც. იმ დროს როდესაც საქართველოს ხარჯ-აღრიცხვით იგი ადგენს მხოლოდ 11,9 პროც.

მიზეზი ასეთი დიდი შეუსაბამობისა მდგომარეობს იმაში, რომ ხარჯ-აღრიცხვის შედგენის დროს გაწერილი არა პირდაპირი გადასახადი, რომელიც შემოღებული იყო ომიანობის პირველ წლებში ან კიდევ ომის დაწყებამდე, ძლიერ მცირე იყო და არ შეესაბამებოდა ნაწარმოების საბაზრო ფასს.

შედეგად მოჰყვა ის, რომ არა საკმარისად იყო ნასარგებლი სახელმწიფო შემოსავლის წყაროთა ეს დარგი, რომელმაც საექციზო გადასახადის სათანადო აწევით, უნდა დაჰფაროს მთელი სახელმწიფო ხარჯების არა ნაკლებ ერთი მეხუთედისა, რაიცა ხდება სხვა ქვეყნებში.

ფინანსთა უწყება დიდი ხანია ზრუნავს გაადიდოს წყარო შემოსავლისა ამ შემოსავლის მუხლის ძალით. ამიტომ მის მიერ შემუშავებული იყო რამოდენიმე კანონ-პროექტი შესახებ არა პირდაპირი გადასახადისა; სახელდობრ ყურძნის ღვინოზედ, პურის, ყურძნის და ხილის სპირტზე კონიაკზე, ბუნებრივ ჩაისა და მის სუროგატებზე და სხვ. ეს კანონები უკვე 1918 წ. იყვნენ წარდგენილნი მთავრობაში განსახილველად, და რამოდენიმე მათგანი, მიიღო რა მთავრობის დასტური, შეტანილ იქმნენ პარლამენტში და საბოლოოდ არ არიან დამტკიცებულნი, რადგან პარლამენტი დათხოვნილ იქმნა მისი უფლებების გათავების გამო.

შარშან, დროს შესამოკლებლად და სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადის დარგის უდეფიციტოთ განსახორციელებლად, ფინანსთა მინისტრის მიერ შეტანილ იქმნა კანონ-პროექტი, რომლითაც ერთ და იმავე დროს უნდა გადიდებულიყო საექციზო გადასახადი ყველა იმ საგნებზე, რომლებიც დაბეგრილი იყვნენ არა პირდაპირი გადასახადით, და ამასთანავე ყველა დასაბეგრ ობიექტზე აქციზი არ იყო თანაბრად გადიდებული, არამედ დაყოფილი იყო ჯგუფებად. ჯგუფებად დაყოფა დამოკიდებული იყო იმაზე თუ რამდენათ ესა თუ ის საგანი მნიშვნელოვანია ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით და მცხოვრებთათვის რაოდენ საჭიროებას შეადგენდა;

პირველ საჭიროების საგნები, როგორც მაგალითად საფუარი (дрожжи) სრულიად განთავისუფლებულია საექციზო გადასახადისაგან; ჩაისა, შაქარსა, და ასანთზე გაწერილია სულ მცირე გადასახადი; ყურძნის ღვინო, ლუდი საშუალოთ დაიბეგრა და ბოლოს საფუფუნებელი საგნები—სიგარები, შამპანიური, ლიკიორის ღვინოები და სხვა უდიდესად დაიბეგრა.

საექციზო გადასახადის გადიდებით შეტანილია საჭირო კორრექტივი 1919—1920 წელ. სახელმწიფო ბიუჯეტში: ახალ კანონით მოსალოდნელი შემოსავალი 132 მილიონი მან. 89 მილიონ მან. მაგივრად, რომელიც შეტანილია ხარჯ-აღრიცხვაში, გაადიდებს შესამჩნევად ამ დარგის შემოსავლის საასდანო ფარდობას გადასახადების შემოსავლის საერთო ჯამთან და აიყვანს იმ დონემდე, რომელიც ითვლება ჩვეულებრივ მოვლენად სხვა ქვეყნების ხარჯ-აღრიცხვაში.

საექციზო გადასახადის გადიდების კანონი მიღებულია დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლ. ივლისის დამლევს და აგვისტოში იგი ცხოვრებაში გატარდა.

მეორე კორრექტივი, რომლის შეტანაც საჭიროა სახელმწიფო შემოსავლის ნუსხაში, ეხება საბაჟო გადასახადებს.

და უკანასკნელ წლებში მოხდა უმნიშვნელო და მხოლოდ ნაწილობრივი საბაჟო გადასახადის გადიდება, რომელიც არა ნაკლებ დაძველდა და ცხოვრებას დაშორდა, ვიდრე საექციზო გადასახადი, თუ მივიღებთ მხედველობაში საზღვარ გარეთიდან საქართველოში შემოტანილ ყველა ნაწარმოებზე ფასების უსაზღვრო ზრდას.

რუსეთის 1914 წლ. ხარჯ-აღრიცხვაში საბაჟო შემოსავალი უდრის 351,9 მილიონ მან., რაიც შეადგენდა მთელი შემოსავლის 10 პროც., იმ დროს როდესაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით იგივე შემოსავალი აღრიცხულია 24,5 მილიონ მან., რაიც შეადგენს 3,3 პროც. საბაჟო გადასახადის სულ მცირედი გადიდებითაც კი საბაჟო გადასახადი ერთი ორად იმატებს.

საბაჟო უწყების მიერ შეტანილ იყო ფინანსთა სამინისტროში კანონ-პროექტი შემოტანილ ძვირფას საქონელზე საბაჟო გადასახადის გადიდების შესახებ, ე. ი. თითქმის განსაკუთრებით საფუფუნებელ საგნებზე. ეს კანონპროექტი უკვე განხილულია ფინანსთა სამინისტროს საბჭოს მიერ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლის თანადასწრებით და ახლო ხანში შეტანილ იქნება კანონმდებლობითი დაწესებულებებში დასამტკიცებლად.

მაგრამ უდიდესი შეუსაბამობა იჩენს თავს ორ აღნიშნულ ხარჯ-აღრიცხვის მეოთხე განყოფილების შემოსავლის მუხლის შედარების დროს: სახელმწიფო რეგალიები რუსეთის ხარჯ-აღრიცხვით შეადგენდა ყველა შემოსავლის 30,4 პროც., იმ დროს როდესაც საქართველოში ეს შემოსავლის დარგი წარმოადგენს მხოლოდ ჩანასახს და იძლევა მხოლოდ 1,1 პროც.

მოხდა ეს იმ მიზეზით, რომ ღვინის მონოპოლია, რომელიც თავის დროზე რუსეთს აძლევდა დიდ შემოსავალს (935, 8 მილიონ მან. 1914 წელს), ამიერ-კავკასიაში არ იყო შემოღებული, შაქრის მონოპოლია კი, რომელიც გავრცელებული იყო ამიერ-კავკასიაზე 1917 წლ. 14 სექტემბრის კანონით, უნიადაგო აღმოჩნდა პოლიტიკურ ხასიათის მოტივების გამოისობით. ამიტომ საქართველოს სახელმწიფო რეგალიები 1919/20 წლ. ბიუჯეტ თ შედგება სამი მუხლისაგან: სამთო შემოსავალი, რომელიც შეადგენს 32.700 მ. საფოსტო—1.550.028 მან., სატელეგრაფო და სატელეფონო 6.365.664 მან.

რომ შემოსავლის ხარჯ აღრიცხვის ნაკლი შევსებულ იქმნეს ნავარაუდევია რამდენიმე მონოპოლია, მაგრამ პრაქტიკულად მათ განსახორციელებლად ჯერ არ დამდგარა სასურველი პირობანი, რადგან სამონოპოლიო საქონელი ან სრულიად არ შემოდის საქართველოში, ან შემოდის ძალიან მცირე რაოდენობით. რაც შეეხება ადგილობრივ მრეწველობას მისი მასიურ წარმოების შედეგათ ჯერ-ჯერობით ჩაითვლება მხოლოდ ორი ნაწარმოები მარგანეცის მადანი და თამბაქო. ეს ორი ნაწარმოები უკვე ობიექტია სახელმწიფო მონოპოლიურ ექსპორტისა და იგი იქნება სახსარი უცხოეთის ვალიუტის მისაღებათ.

როგორი იქნება ფისკალური შედეგი ხსენებულ ორი მონოპოლიისა ამის გამორკვევა შეუძლებელია მინამდე, ვიდრე კანონი ამ ორ მონოპოლიის შესახებ პრაქტიკულად არ განხორციელდება. მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მონოპოლიების შემოსავალი ვერ დაჰფარავს ხარჯ-აღრიცხვის შემოსავლის ბალანსის ნაკლს და 1919/20 წ. სახელმწიფო ბიუჯეტი გამოყვანილი იქნება დეფიციტით.

**ეკონომისტი.**

## მარცვლეულობა საქართველოში

(დასასრული) *)

გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულობის მოყვანაში ისე როგორც სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებშიაც აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც მოხნულ-მოთესილ სივრცის რაოდენობა ნორმალ პირობებში უდრის და დაახლოებით 260-275 დესეტინას, საშუალო რიცხვი რომ ავიღოთ. საშუალო მოხნულ-მოთესილ სივრცის რაოდენობა რომ მხოლოდ 260.000 დესიატ. ვიანგარიშოთ და დესიატინაზე, სულ მცირე საშუალო მოსავალი ავიღოთ რაც შეადგენს 60 ფუთსა, მივიღებთ, რომ აღმოსავლეთი საქართველო (ბორჩალოთური, მთელი მაზრით) იძლევა ორთაშუა რიცხვით წლიურათ 15.600.000 ფუთი მარცვლეულობასა, ხორბალსა, შვრიასა, ქერსა თუ სხ. ციფრები რომ მოვასრულოთ, ხუთმეტ მილიონ ნახევარი ფუთი მარცვლეულობა მოდის აღმოსავლეთ საქართველოში, თუ პირობები ნორმალი და ხელშეუშლელი ექმნა. ამგვარათ აფხაზეთსა და მთელს დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ერთად ნორმალ პირობებში ორთა შუა რიცხვით შეუძლია წლიურათ მოიყვანოს 36-40000.000 ფუთი მარცვლეულობა: სიმინდი და ხორბლეულობა. აქედან ორი წილი, მთელი ოცი მილიონი სიმინდია. ჩვენ არაფერი გვითქვამს საქართველოს იმ განუყოფელ ნაწილების მოსავლის შესახებ, რომელნიც ჯერ-ჯერობით საქართველოს სხეულს მოწყვეტილია ზაქათალასა და აჭარაქობულეთზე. ზაქათალის მარცვლეულობის წლიური მოსავალი უმნიშვნელოა შედარებით; იგი არ აღემატება 5-900.000 ფუთს. ხოლო აჭარა ქობულეთი კი ორთაშუა რიცხვით წლიურათ იძლევა არა ნაკლებ 5 მილიონი ფუთისა. ამისდა მიუხედავათ ვიანგარიშოთ საშუალო წლიური მოსავალი, რომ ძალზე არ გადავაჭარბოთ ან არ შევამციროთ ოცდა ხუთმეტი მილიონი ფუთი მარცვლეულობა. ეს რაოდენობა ჯერ უნდა დაიფქვას (სათესლური ნაწილი ვიგულისხმოთ საერთო რიცხვიდან გამოკლებულათ და 35 მილიონი ფ. ვიანგარიშოთ, როგორც საკვები რაოდენობა) და შემდეგ თუ არ გამერდინდეს, ყოველ შემთხვევაში უნდა გაიცრას მაინც, რაც ფუთზე დააკლებს (პურსა და სიმინდს ერთი-მეორეზე) 3—5 გირვანქას; შემდეგ უნდა დამზადდეს ნაცხობათ, პურათ თუ მჭადათ; გამოცხობა-დამზადებისას ფუთზე მოიმატებს 13—18 გირვანქას. რადგან პირველ ნაწილში 3—5 გირვანქას იკლებს, გამოდის, რომ საერთოთ 35 მილიონი ფუთი მარცვლეულობა, დამზადებული პურათ თუ მჭადათ, მოგვცემს 35 მილიონ ფუთ დამზადებულ საკვებს, და კიდევ ყოველ თითო ფუთზე 15 გირვანქა იმავე საკვებს, რაც იქნება—13,125,000 ფუთი („პრიპეკა“). ეგ ციფრი რომ მოვასრულოთ ცამეტ მილიონათ და მივუმატოთ იმ 35 მილიონს, მივიღებთ, რომ საქართველოს წლიური საშუალო მოსავალი აძლევს ხალხს სულ 48 მილიონ ფუთ დამზადებულ პურსა და მჭადს. თუმცა საქართველოში მჭამელთა რიცხვი გაცილებით, მეტია ვიდრე მკვიდრ მცხოვრებთა რიცხვი, მაინც ნუ გავცდებით მკვიდრ მცხოვრებთა რიცხვს—სამს მილიონს და ვიანგარიშოთ თუ რამდენ ხანს ეყოფა ის სარჩო 48 მილიონი ფუთი საკვები, ჩვენი ქვეყნის მკვიდრ მცხოვრებთ.

უკანასკნელთა შორის ასაკთა სხვადასხვაობა დიდია, ეს ერთი; მეორე, მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი იკვებება დღეში სამჯერ დილა, შუადღე, სადამოს უმეტეს ნაწილად მჭადით თუ პურით; საჭამადი, ლობიო, მხალი, ყველი და ხორცი იშვიათად აქვს, როგორც საზოგადოდ ეს სამხრეთში ხალხთა კვების საქმეს სჩვევია.

ამისათვის გადამეტებული არ იქნება, თუ სულზე ყოველ დღიურათ 4 (ოთხ გირ. პურს (მჭადს) ვიანგარიშებთ ე.ი. საქართველოს მკვიდრი მცხოვრებთ ყოველ დღე სჭირდებათ არა ნაკლებ 300,000 (სამასი ათასი) ფუთი პურისა (მჭადისა). ხოლო თუ ამდენი ხარჯა ქვეყანამ დღეში, ის 48 მილიონი ფუთი მჭადი (პური), მას ეყოფა სულ 160 დღის განმავლობაში. ვთქვათ, ჩვენ ყველა ჩვენი მოსავლის რაოდენობა ვერ აღვნუსხეთ და მეტი მოგვდის პური და მჭადი და ეს მოსავალი გვეყოფა 160 დღეზე მეტ ხანს. ყოველ შემთხვევაში როგორც უნდა დავასრულოთ ეგ უკანასკნელი ციფრი ზემოთ 180 დღეზე ზევით ვერასგზით ვერ ავალთ, რაც უდრის სწორეთ 6 თვეს. მაშასადამე, ჩვენი საშუალო წლიური მოსავალი გვყოფნის ჩვენ ექვსი თვის განმავლობაში. ძალიან კარგი მოსავალი უნდა მოგვივიდეს, რომ საუკეთესო შემთხვევაში შვიდ თვეს გვეყოს, რაც ფრიად საეჭვოა. როგორც უნდა დავწვლილოთ ჩვენი შესაძლებლობის ძაფები, როგორი ძალადობაც უნდა მივაყენოთ ციფრებს, მაინც გვრჩება წლის მეორე ნახევარი, რომელიც ჩვენთვის სიმშილობის ხანაა, თუ საკვები გარედან არ შემოგვივიდა.

ამგვარათ, ჩვენი ქვეყნის ეხლანდელი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა ისეთია, რომ მას საუკეთესო შემთხვევაში 6, სულ დიდი 7 თვე შეუძლია გვარჩინოს თავისი მარცვლეულობით და ისიც დღეში ოთხი გირვანქა მჭადის (პურის) გამოზოგვით სულზე. წლის დანარჩენი დროის განმავლობაში 6-5 თვე, ჩვენ უცხოეთმა უნდა შეგვინახოს. ამგვარათ, ცხადია, რომ ჩვენ უნდა შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან წლიურათ დაახლოვებით არა ნაკლებ 30-35 მილიონ პურის ფქვილისა, რომ წლის მეორე ნახევარიც გავიტანოთ. საერთოთ საქართველოს სჭირდება წლიურათ 60-70 მილიონი პურისა თუ მჭადის ფქვილი, რომლის დაფარვა შეგვიძლია, როგორც ზემომოყვანილმა ციფრებმა დაგვანახა, მხოლოდ სანახევროთ საკუთარი ძალღონითა და მოსავლით; მეორე ნახევარი კი იმპორტის წილია.

ნათქვამიდან თავის თავად გამომდინარეობს როგორც ჩვენი სასოფლო მეურნეობის ისე ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი მოტივები. ამაზე შემდეგ.

**ტიტე მარგველაშვილი.**

*) იხ. „საქართველო № 13.

## მატყლის ფასები ევროპის ბაზრებზე

ფასი 100 კილოსი*) ვაგონში.
ხაო ქარხნებში გარეცხვა.
გენუაში დეკემბრის 9-ს.

| | გაურეცხავი | გარეცხილი**) |
|---|---|---|
| | ლირა | ლირა |
| ორფასი | | 1200-1250 |
| ბენგაზისა | 500-550 | 2000 2100 |
| **ტრიპოლისა.** | | |
| 1 ₰ 2 ხარ. | 500-550 | 1200 1300 |
| ალახიისა | 700 750 | 1500-1550 |
| სარდინიისა | 725-750 | 1500 1550 |
| **ტუნისისა.** | | |
| 1 თეთრი | 670-700 | 2000-2100 |
| სუზიდამ | | 1900-2000 |
| სკუცია | 780 800 | |
| ალეპი | | 1150-1200 |
| მთაშავეთი | 725 750 | |

რომი—ბატკნისა.
1 ხარ. 1600 1700 ლირა.
2 ხარ. 1500 1600 ლირა.

გავრი (საფრანგეთი).
1 ხარ. (36%) იყიდებოდა წინეთ.
წარპირობით 100 კილო.
ნოემბრისათვის - 900 ფრანკი.
დეკემბრისათვის—865 „
იანვრისათვის—810 „
თებერვლისათვის—870 „
მარტ-აპრილ, მაისისთვის—775 „
ივნის-ივლისისათვის—775 „

ლონდონში ფასებმა აიწია:
მირინოსი ცოტაა. სექტემბრის ფასებთან შედარებით 15%; შუათანა და უფრო ნაკლები ხარისხზე—ნაკლები მოთხოვნა არის.

ჩვეულებრივ მატყლზე 10 % მეტია.

პარიზი.

პოლიციის უფროსის განკარგულებით 23 დეკემბრიდან პარიზში ნიხრი დაუდვია შაქარზე.

რაფინადი 100 კილო 308 ფრანკი.
ფხვნილი 100 კილო 298 ფრანკი.

წვრილად:
რაფინადი 1 კილო 3 ფ. 20 სანტ.
ფხვნილი 1 კილო 3 ფ.

**პალატის განყოფილება.**

*) კილო უდრის 2 გ. 42½ მისხ.
**) იგულისხმება მატყლის სამრეც-

## საქ. სამრ. პალატაში.

ბათომის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ აუწყა საქარ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტს, რომ ქ. ბათომში 24 დეკემბერს ადგილობრივ სამოქალაქო მართველობის მიერ დამტკიცებულ იქმნა „ბათომის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ წესდება, რომლის ძალითაც პალატის მოქმედება ვრცელდება მთელ ბათომის ოლქზე. მაგრამ პალატა და კომიტეტი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და ბირჟის საზოგადოების დავალებით საბირჟო კომიტეტი განაგებს პალატის საორგანიზაციო საქმეებს. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე ვალად ჰრაცხს სალამი უძღვნას კავკასიაში პირველად დაარსებულს საქართველოს სავაჭრო პალატას, უსურვებს და იმედოვნებს, რომ საქართველოს სავაჭრო პალატა ხელს შეუწყობს სამშობლოს ვაჭრობა და მრეწველობის აყვავებას, და სთხოვს მას ბათომის პალატას გაუგზავნოს წესდებანი, ინსტრუქციები და ცირკულიარები.

საქ. სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა ნათხოვნი მასალა გაუგზავნა ბათომის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს და, სხვათა შორის, მისწერა:

„საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა დიდი სიამოვნებით მოისმინა თქვენი მოწერილობა 1919 წ. 29 დეკემბრის თარიღით შესახებ იმისა, რომ ბათომში ახლო მომავალში დაარსდება სავაჭრო პალატა, და რომ საბირჟო კომიტეტს, რომელსაც უკისრია ხელმძღვანელობა პალატის დაფუძნებისა, ჰსურს მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან.

პალატის კომიტეტი წინდაწინვე მიუძღვნის სალამს ბათომის მომავალ სავაჭრო პალატას, მის წინამორბედს საბირჟო კომიტეტს და გულწრფელად უსურვებს მათ ენერგიულად ხელის შეწყობას სამშობლო ნო საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის გაშლა-განვითარებისათვის.

პალატის კომიტეტი დიდის ხალისით და სიამოვნებით დაეხმარება ამ საქმეში ბათომის საბირჟო კომიტეტს და მომავალ სავაჭრო პალატას ყოველმხრივ, თავის ძალ-ღონისა და სახსრის მიხედვით“.

—

გადასახადთა სამმართველოში სავ. სამრ. პალატის კომიტეტმა აირჩია ბ ნი რაჟდენ დათეშიძე, ხოლო კანდიდატად ბ-ნი იასონ ლორთქიფანიძე.

## სასარგებლო ცნობები

იღებენ 50 ნაწილს ფრანგულ ბელაკონის ზეთს (скипидаръ), 15 ნაწილს წვრილად დაჭრილ სამყეს (каучукъ) თუნუქის ჭურჭელში, რომელიც უნდა ჩაიდგას მდუღარე წყალში. როდესაც სამყე კარგად გაიხსნება ცეცხლიდან ერ იღებენ და უმატებენ 30 ნაწილს უბრალო კანიფოლს; როდესაც ეს უკანასკნელი გაიხსნება ფერისათვის უმატებენ 4 ნაწილს ჰოლანდიის მეჭვარტლს ან ძვლის ნახშირის ფხვიერს. შემდეგ კარგად უნდა ურიონ, ვიდრე არ მიიღებენ თანაბარ ნარევს და როდესაც გაცივდება ხმარობენ. უსვამენ ისე როგორც სანდალოზს (лакъ) რეზინის კალოშებს, რომლის შემდეგაც კალოშებს უბრუნდება პრიალა ფერი.

2 ნაწილს ასფალტოსს უმატებენ 4 ნაწილს არყის ხის ნახშირს და 4 ნაწილს ეტლის თვლების ნახშიროვან კუპრს (steinkohlenteer). ეს ნარევი იძლევა ძველი კალოშების და დასაკერებელ ადგილების მშვენიერ წასასმელ სანდალოზს (лакъ).